ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ76. 76251605**
თარიღი:**09/06/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუქტის, ამავე მუხლის მე-4 პუქტის; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“–ს მე-5 მუხლის; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N12 დადგენილების პირველი მუხლის და 2025 წლის 25 აპრილის N33 და N32 განკარგულებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი შემდეგ ქონებაზე:

1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭელიაღელეში მდებარე 1245 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 86.12.22.010).

1.1.1. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო საფასური 97 100 ლარი (ოთხმოცდაჩვიდმეტიათასასი) ლარი, ბე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 50% - 48 550 (ორმოცდარვაათასხუთასორმოცდაათი) ლარი, ბიჯი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 5% - 4855 (ოთხიათასრვაასორმოცდათხუთმეტი) ლარი.

1.1.2. ელექტრონული აუქციონის პირობები:

1.1.2.1. ქონების შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2(ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს შესყიდული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია და განახორციელოს მინიმუმ 200 000 ლარის ინვესტიცია.

1.1.2.2. ქონების შემსყიდველმა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ქონების სრული ღირებულება.

1.1.3. ელექტრონული აუქციონის დაწყების თარიღი – 2025 წლის 10 ივნისს 11:00 საათი; დასრულების თარიღი – 2025 წლის 25 ივნისს 11:00 საათი.

2. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ **www.eauction.ge-ზ** მეშვეობით.

3. დაევალოს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილებას აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებ-გვერდზე **www.eauction.ge.**

4. წინამდებარე ბრძანება და აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **www.ambrolauri. gov.ge.**

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი